ინკლუზიური ტურიზმი, როგორც საქართველოს ტურისტული პოტენციალის ზრდა

ფატი მუმლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ეგუტია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

მსურს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელთაც დახმარება გამიწიეს ნაშრომზე მუშაობისას. ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელთან ერთად, მსურს მადლობა გადავუხადო ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციას მოწოდებული მასალებისა და გაწეული დახმარებისათვის; თამარ მახარაძეს არასამთავრობო ორგანიზაცია „პარსას“ დამფუძნებელს ჩაღრმავებულ ინტერვიუში მონაწილეობისათვის, ასევე თომა კაკაბაძეს „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ ორგანიზაციის თავმჯდომარეს; დასაქმების მენტორს აჭარის რეგიონში - „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“.

ასევე განსაკუთრებული მადლობა ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში მონაწილე ყველა ადამიანსა და არასამთავრობო ორგანიზაციას.

აბსტრაქტი

წიანამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ინკლუზიური ტურიზმის პერსპექტივა, არასამთავრობო სექტორისა და სახელწიფოს თანამშრომლობის პრობლემები, პერსპექტივები და გამოწვევები. ნაშრომი მოიცავს კვლევებს და ჩაღრმავებულ ინტერვიუებს საკითხით დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან. შეფასებულია საზოგადოების ცნობიერების დონე და მზაობა ინკლუზიურ ტურიზმის პოლიტიკასთან მიმართებაში.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში საუბარია ზოგადად ინკლუზიური ტურიზმის ცნების, რაობის შესახებ, საქართველოში ინკლუზიური ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში, რას ავალდებულებს ქვეყანას კონვენციის რატიფიცირება და რა პრობლემების წინაშე დგას საპილოტე ეტაპზე მყოფი ინკლუზიური ტურიზმი.

მეორე ნაწილში განხილულია სამოქალაქო სექტორის, სამთავრობო უწყებებისა და არასმთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის ხარისხი ინკლუზიური ტურიზმის განვითარებაში. საერთაშორისო პრაქტიკა და ქართული რეალობა. ასევე წარმოდგენილი ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და კვლევის შედეგების ანალიზი.

მესამე ნაწილი ეთმობა დასკვნასა და რეკომენდაციებს, სადაც შეჯამებულია ხარვეზები, გამომწვევი მიზეზები და შემოთავაზებულია გარკვეული ალტერნატივები ინკლუზიური ტურიზმის პოლიტიკის მხარდასაჭრად და განსავითარებლად.